



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

G-PRIED

Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) რესურსების პორტალის მოკლე მიმოხილვა

ნაწილი 1

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) პორტალის

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) წარმოგიდგენთ პროექტის პორტალის მოკლე მიმოხილვას.

დოკუმენტში აღწერილია, თუ რა არის წარმოადგენილი პორტალზე და რის სამუალებას იძლევა იგი.

დოკუმენტის სტრუქტურა:

1. G-PriEd-ის რესურსების პორტალი	2
1.1 სივრცე „საკლასო შეფასება“	4
1.2 სივრცე „ელექტრონული კურსები“	4
1.3 სივრცე „რესურსები დირექტორებისათვის“	5
1.4 სივრცე „რესურსები მასწავლებლებისთვის“	6
1.5 სივრცე „ბიზნესის უნარ-ჩვევები“	6
1.6 სივრცე „მშობელთა ჩართულობა“	7

1. G-PriEd-ის რესურსების პორტალი

www.kargiskola.ge (სურათი #1)

ვებვერდზე შესვლისას სასურველია ისარგებლოთ შემდეგი ვებბრაუზერებით (ნავიგაციისა და დათვალიერების საშუალება):

 chrome www.google.com

 Opera www.opera.com

სურათი #1



საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) პორტალი www.kargiskola.ge წარმოადგენს სივრცეს, სადაც თავმოყრილია დაწყებითი (I-VI) კლასების კითხვისა და მათემატიკის მრავალფეროვანი / ინოვაციური საგანმანათლებლო სწავლებისა და სასწავლო მეთოდური ინტერაქტიული რესურსები. პორტალის მეშვეობით დაწყებითი კლასების მასწავლებელს შეუძლია ელექტრონული **e-კურსების** გავლა, გაკვეთილის გეგმის ჩამოტვირთვა, საბავშვო წიგნებისა და თამაშების გამოყენება ჯგუფური, ინდივიდუალური თუ საკლასო მუშაობისთვის. ასევე, მასწავლებელს შეუძლია გაეცნოს განმავითარებელი შეფასების მრავალ ტექნოლოგიას, პრაქტიკას და საკლასო შეფასების (ელექტრონული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი) მეშვეობით დაგეგმოს, ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირება და გააანალიზოს შედეგები.

G-PriEd-ის რესურსების პორტალი განკუთვნილია დაწყებითი კლასების ქართული ენის, ქართული, როგორც მეორე ენის და მათემატიკის მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორებისთვის.

G-PriEd-ის რესურსების პორტალი ხელმისაწვდომია G-PriEd-ის ყველა პარტნიორი სკოლისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისათვის 2015-2016 აკადემიური წლის განმავლობაში.

G-PriEd-ის რესურსების პორტალი შეიქმნა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) ფარგლებში. 2012 წლიდან პროექტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შექმნა და შერჩეულ საჯარო სკოლებში დანერგა მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს გააზრებული კითხვისა და მათემატიკის სწავლას; ადვილს, ცოცხალსა და აქტიურს ხდის სასწავლო პროცესს. მიღებული უკუკავშირისა და დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით, პორტალზე თავმოყრილია საგანგებოდ შერჩეული, აპრობირებული მეთოდები და ინსტრუმენტები, რათა ხელი შეეწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ხელმისაწვდომი გახდეს სასწავლო რესურსები, მასწავლებლებისთვის მარტივი გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი და იმ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, რომლებიც გააუმჯობესებს დაწყებით კლასებში მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს კითხვასა და მათემატიკაში.

PriEd-ის რესურსების პორტალი შედგება ექვსი დამოუკიდებელი სივრცისგან:

1. საკლასო შეფასება;
2. ელექტრონული კურსები;
3. რესურსები დირექტორებისთვის;
4. რესურსები მასწავლებლებისთვის;
5. მშობელთა ჩართულობა;
6. ბიზნეს-უნარები დაწყებით კლასებში.

შენიშვნა: ყველა რესურსი (წიგნი, გაზეთი, ფილმი და სხვ.) იხსნება ცალკე ფანჯარაში. ნებისმიერი რესურსის გამოყენება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში. ასევე, შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა (გადაწერა საკუთარ კომპიუტერში) და ამობეჭდვა, ან პირდაპირ ვებგვერდიდან ამობეჭდვა. სიჩქარის შენარჩუნების მიზნით, სასურველია რესურსის დათვალიერების/გამოყენების შემდეგ ფანჯარა დაიხუროს.

1.1 სივრცე „საკლასო შეფასება“

ამ სივრცეში განთავსებული მასალების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია კითხვისა და მათემატიკის საგნებში:

1. კლასის სიის შედგენა;
2. მოსწავლის ტესტის გენერირება პარამეტრების შერჩევით (კლასი, სემესტრი, კომპეტენცია, ინდიკატორი);
3. გენერირებული მოსწავლის ტესტის ცალკეული ამოცანების შეცვლა;
4. მასწავლებლის ტესტის ინსტრუქციის/რუბრიკის შედგენა;
5. მოსწავლის შედეგების შეყვანის ფორმის გენერირება;
6. ანალიზის გაკეთება შედეგების შეყვანის შემდეგ;
7. ადმინისტრირებული ტესტის არქივაცია მასწავლებლის პირად კაბინეტში.

საკლასო შეფასების სტატისტიკას ხედავს და ფლობს მხოლოდ მასწავლებელი.

ელექტრონული კურსების ერთ-ერთი სესია მიემდგვნება საკლასო

დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის დაუფლებას და მისი შედეგების გამოყენებას. ეს ინსტრუმენტი ამჟამად დამუშავების ფაზაშია და გააქტიურდება 2015 წ. ნოემბრის ბოლოს.



საკლასო შეფასება

1.2 სივრცე „ელექტრონული კურსები“



ელექტრონული კურსები

„ელექტრონული კურსების“ სივრცეში მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ელექტრონულ ტრენინგპროგრამაში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დაწყებით კლასებში კითხვისა და მათემატიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამაში ჩართული მასწავლებლები შეძლებენ:

- კითხვისა და მათემატიკის სწავლებას კონსტრუქტივისტული მიდგომის გამოყენებით;
- დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში;
- მრავალფეროვანი რესურსებისა და მეთოდების ეფექტიანად გამოყენებას;
- მოსწავლეთა უნარების მონიტორინგს დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით.

ელექტრონულ ტრენინგპროგრამაში მონაწილეობა ითვალისწინებს ვიდეოლექციების მოსმენას, რეალური საკლასო სიტუაციების გაანალიზებას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას, დამატებითი პროფესიული

განვითარების მასალების (მეთოდური წიგნებისა თუ სასწავლო ფილმების) გაცნობას.

ვიდეოსესიებს სკოლაში წარმართავენ შესაბამისი საგნის მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორები, რომლებიც საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მომზადდნენ.

ელექტრონული კურსების სივრცე წარმოდგენილია კითხვისა და მათემატიკის კურსებით. მოგვიანებით დაემატება მოკლე, 1-2 საათიანი ტრენინგმოდულები სხვადასხვა საკითხზე.

კითხვის საგანში არის 2 კურსი:

- I-IV კლასების ქართული ენის მასწავლებლებისთვის;
- V-VI კლასების ქართული ენის მასწავლებლებისთვის.

მათემატიკის საგანში არის 2 კურსი:

- I-IV კლასების მათემატიკის მასწავლებლებისთვის;
- V-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლებისთვის.

1.3 სივრცე „რესურსები დირექტორებისათვის“

„დირექტორის რესურსების“ სივრცეში წარმოდგენილი მასალები დაეხმარება სკოლის ხელმძღვანელებს სასწავლო პროცესის მართვასა და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. დირექტორებს შეუძლიათ იხილონ ვიდეორესურსები სკოლის ეფექტური ხელმძღვანელობისა და საკლასო დაკვირვების შესახებ, გაეცნონ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების გზამკვლევებს:

- ვიდეორესურსები სკოლის დირექტორებისთვის;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასება: გზამკვლევი სკოლის დირექტორებისთვის;
- მასწავლებლის შეფასების რუბრიკა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- პრეზენტაციები დირექტორებისთვის.



რესურსები დირექტორებისთვის

1.4 სივრცე „რესურსები მასწავლებლებისთვის“



რესურსები მასწავლებლებისთვის

„მასწავლებლის რესურსების“ სივრცეში თავმოყრილია სხვადასხვა სასწავლო მასალა და რესურსი, რომელთა მიზანია დაწყებითი კლასების I-VI კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობა.

აღნიშნული ბლოკი მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- წიგნები მასწავლებლებისთვის;
- მოსწავლის წიგნები;
- მოსწავლის აუდიოწიგნები;
- აქტივობის ბარათები;
- კითხვისა და მათემატიკის პლაკატები;
- მოსწავლის გაზეთი;
- გაკვეთილის გეგმები;
- სასწავლო-მეთოდური ვიდეოები;
- კომპიუტერული თამაშები.

რესურსის ტიპიდან გამომდინარე, თითოეული დალაგებულია გამარტივებული ძიებით. მაგალითად, მოსწავლის წიგნები იძებნება კლასით, სირთულის დონითა და ჟანრით.

1.4 სივრცე „ბიზნესის უნარ-ჩვევები“

სივრცეში „ბიზნესის უნარ-ჩვევები“ განთავსდება მრავალფეროვანი რესურსი სკოლებისთვის:

- სასწავლო პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია მასწავლებლისა და მოხალისის გზამკვლევი;
- საინფორმაციო ლიფლეტები და ბროშურები;
- ვიდეოკლიპები, მეთოდოლოგიური ფილმები და სხვ.

ეს სივრცე ამოქმედდება 2016 წ. მარტისთვის.



ბიზნესის უნარ - ჩვევები

1.6 სივრცე „მშობელთა ჩართულობა“

„მშობელთა ჩართულობის“ სივრცეში თავმოყრილია სხვადასხვა სასწავლო მასალა და რესურსი, რომელთა მიზანია დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) ქართული ენისა და მათემატიკის სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობა მშობელთა მიერ.

აღნიშნული ბლოკი მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- **რესურსი მშობლებისთვის**
 - აქტივობების ბარათები მშობლებისათვის ოთხ ენაზე;
 - საგნობრივი რეკომენდაციები სამ ენაზე;
 - ვიდეორეკომენდაციები „1 წუთი მაესტროზე“ პროექტის ფარგლებში.
- **რესურსი სკოლებისთვის**
 - გზამკვლევი დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის;
 - კითხვის კონკურსების იდეები კლასების მიხედვით;
 - მშობელთა ჩართულობის სარეკლამო ბანერები.



ვებგვერდზე რეგისტრაცია/ავტორიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) პარტნიორი სკოლების, სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისათვის.

რეგისტრაცია/ავტორიზაციისას მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მინიჭებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow) შესასვლელი სახელი (user) და პაროლი (password).

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd)